ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N87

ქ.თბილისი

7 სექტემბერი, 2021 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი ბირბიჩაძე
ლევან დავითაშვილი
ერეკლე კუხიანიძე
ზაზა მამალაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ვაჟა ოთარაშვილი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
ბორია ფირცხელიანი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დარახველიძე
ანა ლაშხი
მიხეილ მესხი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე გიორგი მარგებაძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი რომეო მიქაუტაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა სოფელი დიღმის მოსახლეობის პრობლემაზე, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების რეგისტრაციას. მისი თქმით, საკრებულოს წევრი, ავთანდილ ცინცაძე, რომელიც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია, აქტიურად მუშაობს მოსახლეობის დასახმარებლად და ამ პრობლემის მოგვარებაში, ყოველგვარი პოლიტიკური და საარჩევნო ინტერესების გარეშე, შესთავაზა თანამშრომლობა და გვერდში დგომა. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნოდ, ხშირად ხდება სოფელი დიღმის მოსახლეობაზე მანიპულირება, მათ არჩევანზე ნეგატიური ზემოქმედება, შეპირება, რომ გადაწყდება კონკრეტული ინდივიდების პრობლემები, თუმცა განუხილველი განცხადებების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ერთეული, შერჩევითი და არასამართლიანი დამოკიდებულებით პრობლემა არ მოგვარდება და იმისთვის, რომ დასრულდეს, მათ შორის, „საარჩევნო სპეკულაციები“, საკრებულომ უნდა იმსჯელოს და გლობალურად გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ ვახტანგ შაქარიშვილის მიერ გაჟღერებული პრობლემა არის არა მარტო სოფელ დიღომში, არამედ, გლობალურად თბილისისთვის შემოერთებულ ტერიტორიებზე და არავინ ამბობს, რომ პრობლემა არ უნდა მოგვარდეს. მისი თქმით, ამ საკითხის მოგვარებისთვის მოსახლეობასთან კომუნიკაცია არავითარ კავშირში არ არის „წინასაარჩევნო სპეკულაციებთან“, რადგან არ ყოფილა არც ერთი დღე და არც ერთი კვირა, როდესაც მას მოსახლეობასთან არ ჰქონოდა კომუნიკაცია აღნიშნულთან დაკავშირებით და მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ ადამიანთან, ვინც სწორი მიმართულბით დაეხმარება მოსახლეობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიცპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი დოხტურიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდამჭერის ხელშეკრულება“-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი მარგებაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტე-ტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.327) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.057.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N13ვ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.055.01.131) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ზღლეთის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.046.315) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N13-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9 (ნაკვეთი 01/063)-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.008.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ტაბიძის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: N81.01.05.884.01.502; N81.01.05.884.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.031.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ.:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი-15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის" (ს/ნ.: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქი თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. 005/117) მდებარე 636 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.313) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპმალიტეტის საკუთრებაში არსებული 1043 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.095) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.199) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ.: 412757315) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, ნინოშვილის ქ.N56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის" (ს/კ.: 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ.N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.15.05.009.032) ტერიტორიიდან 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „შატრესთვის" (ს/კ.: 402045354) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქუვეითისთვის" (ს/კ.: 400311275) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

25. „ქ.თბილისში, არჩილ ამაღლობელის ქ.N24-ში (ს/კ.: N01.14.08.007.064) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორის" (ს/კ.: 405168946) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

26. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ბაგები რეზიდენსი"-ს (ს/ნ.: 405446209) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31-ში (ს/კ. N01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

27. „ქ.თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ.: N01.14.02.025.251)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ბი.აი.ჯის" (ს/კ.: 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

28. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006)

არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-ს (ს/ნ.: 405284106) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N2ბ (ს/კ.: N01.14.05.008.154) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

29. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10 (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და სს „ვენჯორჯიას“ (ს/ნ.: 404885335) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის ქ.N35 (ს/კ.: N01.10.10.025.050) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

30. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქი თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღი“-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.115; N01.20.01.010.047; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.052; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.438; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.137; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.085; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.469; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.473;

N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.055) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში,სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.418) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N26-ის მიმდებარედ, პეტრე იბერის ქუჩა N30; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, დ. თავდადებულის კორპ. N26-ის მიმდებარედ, ნაკვ. N112-2, ნაკვ. N112-1; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.229; N01.10.06.001.002; N01.10.06.001.125; N01.10.06.001.126; N01.10.06.001.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა, N77გ, N77ვ, N77ი, N77დ, N75გ, N75ბ, N75ა, N81ე, N75, N71ა, N71დ, N77ე, N71ე, N71ბ, N79გ, N77ბ, N77თ, N77ზ, N73ა, N79ბ; ქალაქი თბილისი, საბურთალოს ქუჩა N43; ქალაქი თბილისი, საბურთალოს N43-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.14.028.109; N01.10.14.028.209; N01.10.14.028.183; N01.10.14.028.201; 01.10.14.028.184; N01.10.14.028.083; N01.10.14.028.052; N01.10.14.028.113; N01.10.14.028.106; N01.10.14.028.008; N01.10.14.028.114; N01.10.14.028.037; N01.10.14.028.196; N01.10.14.028.186; N01.10.14.028.214; N01.10.14.028.064; N01.10.14.028.202; N01.10.14.028.110; N01.10.14.028.199; N01.10.14.028.203; N01.10.14.028.208; N01.10.14.028.097;

N01.10.14.028.211) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქ.თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.024), საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 19 მაისის N1193 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებისთაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქალაქ თბილისში,დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებისთაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N27, N23ა, N23, N29-ში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.957; N01.72.14.014.209; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში“ (ნაკვ. N68, N68ა, N68ბ, N68გ, N77) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.333; N01.20.01.010.334; N01.20.01.010.069; N01.20.01.010.024; N01.20.01.010.119; N01.20.01.010.199; N01.20.01.010.201; N01.20.01.010.202; N01.20.01.010.222; N01.20.01.010.280) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N109-ის მიმდებარედ, ლისის ტბის დასახლებაში, ფერმწერთა ქუჩა, N143; N145; N147; N149- ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.009.399; N01.14.16.009.446; N01.14.16.009.442) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქი თბილისი, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.919; N72.16.18.859) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.28.039; N72.16.09.282; N72.16.28.155; N72.16.28.156; N72.16.09.582; N72.16.09.583; N72.16.09.522; N72.16.28.040; N72.16.09.288; N72.16.28.252; N72.16.28.012; N72.16.09.608; N72.16.28.223; N72.16.28.256; N72.16.28.154) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წლის 6 თვის (01.01.2021წ. - 01.07.2021წ.) გაწეული მუშაობის ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

52. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ კახი კავსაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

53. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოტე მესხის შესახვევისთვის კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

54. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, შოთა ნიშნიანიძის გასასვლელისთვის მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

55. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ექიმის, პროფესორ იოსებ აბაკელიას სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიცპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი დოხტურიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ამა წლის 12 აგვისტოს, საკრებულოს წევრმა, გიორგი დოხტურიშვილმა, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ წერილობითი განცხადებით (N03-2122452) მიმართა მას. აქვე აღნიშნა, რომ გიორგი დოხტურიშვილს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება 2021 წლის 13 აგვისტოდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი დოხტურიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ აღნიშნული ქვესასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს 9600000 ევროს სესხის აღებას, რომლის ფარგლებშიც მოხდება „თბილსერვის ჯგუფის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ძირითადად გათვალისწინებულია ნაგავმზიდი სპეცტექნიკის ჩანაცვლება და ასევე, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სანიაღვრე ქსელის, ქუჩების მორეცხვის, და დასუფთავების მიმართულებით სპეცტექნიკის შეძენა.

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა, თუ რა ვადებშია დაგეგმილი სპეცტექნიკის შესყიდვა და რა ეტაპზეა ლილოს ნაგავსაყრელის მოწესრიგების პროცესი.

რომეო მიქაუტაძემ განმარტა, რომ დამატებითი სესხის მიზნობრიობა არის არა მხოლოდ დასუფთავების, არამედ, სხვადასხვა მიმართულებით სპეცტექნიკის შეძენა და ასევე პოლიგონებისთვის. ხელშეკრულება არის ათწლიანი და ხელმოწერიდან დაახლოებით ერთი წლის ვადაში დაკონტრაქტებული უნდა იყოს სასესხო ვალდებულებით გამოწვეული ხელშეკრულებები, ხოლო მოწოდების ვადაა 6-9 თვე. აქედან გამომდინარე, დაახლოებით წელიწადნახევარი ან წელიწადი და ცხრა თვე დასჭირდება სხვადასხვა მიმართულების სპეციალიზირებული ტექნიკის შემოყვანას. ლილოს ნაგავსაყრელთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს საკითხი, შესყიდვით, დამონტაჟებით და ხელშეკრულების გაფორმებით, მოგვარებული იქნება მომდევნო წლის ბოლომდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე გიორგი მარგებაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს ელექტრონული სერვისების მიწოდებას, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, ასევე საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის. დღეის მდგომარეობით, სააგენტო ახორციელებს დანერგვის ეტაპს და სწორედ ამ სერვისების საფასურისა და მომსახურების დადგენას ეხება წარმოდგენილი პროექტი, რომლის შესაბამისადაც სააგენტოს ექნება შესაძლებლობა ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურას, ა(ა)იპ-ს, სსიპ-ს თუ კერძო ორგანიზაციას, ელექტრონული სერვისების შექმნის ან არსებული სერვისების გამოყენების შემთხვევაში, გაუწიოს კვალიფიციური მომსახურება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტე-ტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური ზონალური შეთანხმების ფარგლებში კ2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ში, საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების მიზნით, მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ფართების ფარგლებში მოხდეს მათი შემდგომი განკარგვა. მუნიციპალიტეტმა, ახალი გენ.გეგმის დამტკიცებისას, მსგავსი გადამეტების ფარგლებში, მიიღო დაახლოებით 10000 კვ.მ.-მდე საცხოვრებელი ფართები, თუმცა, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტი გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ახერხებს ამ ფართების პრივატიზებას. მათ შორის, ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ დეველოპერთან კონკურენციაში შესვლა რთულია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს კონკრეტული ბინები, ხოლო კომპანიას აქვს გაცილებით დიდი არჩევანი, რაც მყიდველისთვის უფრო მისაღებია. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტისა და დეველოპერის თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი სთავაზობს სამშენებლო კომპანიებს, რომ მათი მეშვეობით მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ ფართების რეალიზაცია, რომლების გაყიდვაც ვერ მოხერხდა ორჯერ გამოცხადებულ აუქციონზე, რის სანაცვლოდაც მუნიციპალიტეტი დეველოპერს სთავაზობს მომსახურების გადასახდს საპრივატიზაციო საფასურის ოდენობის 3%-მდე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი მისასალმებელია და სწორი გადაწყვეტილებაა, თუმცა ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს ამ თანხების განკარგვას, რათა გამოირიცხოს ყველგვარი კორუფციული ელემენტები და არ მოხდეს ისე, რომ გასხვისდეს რომელიმე კომპანიის ათი და ოცი ბინა და შემდეგ, მუნიციპალიტეტმა შეიძინოს რომელიმე კონკრეტული კომპანიის ბინები. მისი თქმით, ეს პროექტი იქნება წარმატებული და მუნიციპალიტეტში შევა გარკვეული თანხები, რადგან კომპანიები გაცილებით უკეთ მოახერხებენ ამ ფართების რეალიზებას, ვიდრე მუნიციპალიტეტი აუქციონით.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ვერ ხედავს რისკის ფაქტორს იმაში, რომ კომპანია მუნიციპალიტეტს დაეხმაროს ბინების რეალიზაციაში, თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემდგომში, მუნიციპალიტეტს არ მოუწიოს პირდაპირი შესყიდვით ფართების შეძენა.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ როდესაც საქმე ეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ყველა შემთხვევაში არის გარკვეული სახის კონკურენცია. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია დამატებითი წესის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს, რომ ასეთი ბინების შესყიდვა მოხდეს გარკვეული ტიპის კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით და არა პირდაპირი შესყიდვით.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს შექმნა და ეს იქნება ისეთივე სახელმწიფო შესყიდვა, როგორიც ნებისმიერი სხვა. აღნიშნული არის გამონაკლისი, რადგან საუბარია მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც ჩავარდება ორი აუქციონი. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი უნდა დააკვირდეს პროცესს, თუ როგორ ითანამშრომლებენ დეველოპერები მუნიციპალიტეტთან და ამის შემდეგ შესაძლებელია შემუშავდეს გარკვეული წესი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს უძრავი ქონება, რომ მის მფლობელს ჰქონდეს შესყიდვაში მონაწილეობის უფლება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.327) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 453 კვ.მ. ფართის გადაცემა თერთმეტი ოჯახისთვის, რომლებიც 1998-2002 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.057.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 31 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 40 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N13ვ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.055.01.131) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 24 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ბეღლეთის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.046.315) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 213 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2000 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N13-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და

განმარტა, რომ წარმოდგენილია 608 კვ.მ. ფართის გადაცემა ჩვიდმეტი ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9 (ნაკვეთი 01/063)-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 224 კვ.მ. ფართის გადაცემა შვიდი ოჯახისთვის, რომლებიც 2011-12 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.008.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 322 კვ.მ. ფართის გადაცემა რვა ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ტაბიძის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: N81.01.05.884.01.502; N81.01.05.884.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 35 კვ.მ. ფართის (პირველ სართულზე) და 38 კვ.მ. ფართის (მეორე სართულზე) გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007-08 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.031.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 157 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ.:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი-15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის" (ს/ნ.: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცხადებული იყო ინტერესთა გამოხატვა ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, სადაც ძირითადი პარამეტრები იყო: ფუნქციური ზონა - საცხვრებელი ზონა 5, კ2 კოეფიციენტი შეიზღუდა 0.8-ით, საბანკო გარანტია მოთხოვნილი იყო 2000000 ლარის ოდენობით და მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი მინიმალური ფართი - 7450 კვ.მ. თეთრი კარკასის მდგომარეობაში. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას აქვს ვალდებულება დაამუშაოს განაშენიანების რეგულირების გეგმა 12 თვის ვადაში, აქედან 3 თვის ვადაში აიღოს პირველი ლოტის მშენებლობის უფლება, 6 თვის ვადაში აიღოს მიმდებარედ პარკის მშენებლობის უფლება და მშენებლობის ნებართვის აღებიდან 30 თვის ვადაში დაასრულოს და მუნიციპალიტეტს გადასცეს 7550 კვ.მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობაში, რომელიც შემდგომში გადაეცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 73 ოჯახს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქი თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. 005/117) მდებარე 636 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.313) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს იოანე ვაკელის N2-ში და მისი ღირებულება შეადგენს 455000 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 636 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს რამიშვილის აღმართის მიმდებარედ, რომლის ღირებულებაც შეადგენს 1086000 ლარს. მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა სხვაობას კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპმალიტეტის საკუთრებაში არსებული 1043 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.095) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული 135 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ყოფილი საქვაბე) მდებარეობს ცოტნე დადიანის გამზირზე და მისი ღირებულებაა 64000 ლარი. აღნიშნულ ტერიტორიაზე გამგეობა აწყობს სკვერს, რომლის სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1043 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს რეხის ქუჩის მიმდებარედ, რომლის ღირებულებაა 164000 ლარი. მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა სხვაობას კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

18. „ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.199) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის მიზნობრიობა არის სკვერის და გამწვანებული სივრცის მოწყობა. კერძო საკუთრებაში არსებული 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტით, მდებარეობს ვარკეთილი 3-ის III მიკრორაიონის N319ზ-ს მიმდებარედ და მისი ღირებულება შეადგენს 63000 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ვარკეთილი 3-ის IV მიკრორაიონში და მისი ღირებულება შეადგენს 93600 ლარს. მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ

ფასთა სხვაობას კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ.თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ინტერესი არის შპს „ალმას" საკუთრებაში არსებული სპორტული ობიექტი, რომელიც მდებარეობს დიღმის მასივში, III კვარტალში, მიწის ნაკვეთის ფართია 8440 კვ.მ., რომელზეც განთავსებულია 3000 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, რომელიც ფუნქციონირებს სპორტული ობიექტის დატვირთვით. მესაკუთრეს აქვს უფლება მოახდინოს ხსენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და განახორციელოს დეველოპერული პროექტი, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე - შენარჩუნდეს სპორტული ობიექტი, კერძო მესაკუთრისთვის შეთავაზებული იქნა 55000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ლისის ტბის მიმდებარედ. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა სხვაობას კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში და ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობაა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთი უნდა განვითარდეს სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულოში დასამტკიცებლად შემოსული იყო განაშნიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საკრებულომ შეაჩერა იქიდან გამომდინარე, რომ დიღმის მოსახლეობისთვის ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტი და შესაბამისად, დღევანდელი გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიკეთო.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ თუ ამ საკითხს შევხედავთ მხოლოდ იმ ჭრილში, რაზეც ისაუბრა გიორგი ტყემალაძემ, ცხადია, სპორტული ინფრასტრუქტურის გადარჩენა არის სასიკეთო საქმე, თუმცა საინტერესოა, ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს რატომ არ შეაქვს პროკურატურაში განცხადება ან რატომ არ მიმართავს სასამართლოს და საკითხს წყვეტს ისე, რომ კომპანიას, ლისის ტბის მიმდებარედ გადასცემს 55000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი ტერიტორია ჩვენი ქალაქისთვის. ამ ფაქტიდან, გარე რეკლამის ბიზნესის, უამრავი მიწის ნაკვეთის მონაცვლეობიდან, ფუნქციური ზონის ცვლილებებიდან და მრავალი სხვა ფაქტიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდეს ეჭვი თბილისის მერიასა და „ვისოლ ჯგუფს" შორის არსებულ კორუფციულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ შეფარულია იმ სიკეთით, რასაც ჰქვია ამ

ტერიტორიის გადარჩენა მხარს არ დაუჭერს, რადგან ხსენებული სპორტული ობიექტის გადარჩენა სხვა გზითაც შეიძლება.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ინტერესი არის არა მხოლოდ ის, რომ ამ ტერიტორიაზე არ განხორციელდეს სამშენებლო პროექტი, არამედ ისიც, რომ ხსენებული ტერიტორია რაც შეიძლება მალე გახდეს ქალაქის საკუთრება, რათა განხორციელდეს მძიმე მდგომარეობაში არსებული საცურაო აუზის რეაბილიტაცია და შეიქმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დიღმის მასივის მოსახლეობისთვის. აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება ემსახურება არა „ვისოლ ჯგუფის", არამედ მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

ვაჟა ოთარაშვილი დაეთანხმა ვახტანგ შაქარიშვილს და განაცხადა, რომ „ეს არის ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების კოჰაბიტაციის იდეალური მაგალითი, როდესაც ე.წ. საკუთრების დონეზე ხდება ობიექტების გადაცემა". მისი თქმით, არავინ იცის, სამართლებრივად როგორ მოხდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამ ობიეტის კერძო საკუთრებაში გადაცემა და ნაცვლად იმისა, რომ ცხრა წლის განმავლობაში მომხდარიყო აღნიშნულის გამოძიება, დღევანდელი ხელისუფლება ამ კოპანიას ლისის ტბის მიმდებარედ გადასცემს საკმაოდ ვრცელ და ღირებულ ტერიტორიას.

ირაკლი თავართქილაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არის უფრო სწრაფი და ეფექტური. ხოლო, რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ საქმეს, თუკი არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს და გაეცეს შესაბამისი პასუხი, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არავის ამართლებს და ხელს არ უშლის გამოძიებას.

ოთარ გრიგოლიამ განმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორია, წინა ხელისუფლებამ, გარკვეული პირობებით გადასცა კომპანიას, ათი წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ, ქალაქმა ჩაიბარა ობიექტი, რომელზეც დაკისრებული იყო ვალდებულება და შესაბამისად, კომპანიას აღარ დარჩა არანაირი ვალდებულება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტი, ქალაქის საკუთრებაში აბრუნებს ხსენებულ ტერიტორიას. რაც შეეხება გამოძიებას, მისი თქმით, შესამლებელია საერთოდ არ გამოვლინდეს დანაშაულის ნიშნები, რადგან ეს არის წინა ხელისუფლების პოლიტიკის შედეგი და შესაძლებელია საერთოდ ვერ გაირკვეს რატომ მოხდა ამ ტერიტორიის კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ გულდასაწყვეტია, როდესაც დღევანდელი ხელისუფლება ზედაპირულად უყურებს ამ საკითხს და აღიქვამს როგორც მოცემულობას, რადგან ის არ უნდა აღმოჩნდეს სხვისი პოლიტიკის გამგრძელებელი. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მოხდება შემდგომში ამ ტერიტორიის განკარგვა, რათა არ განმეორდეს ის, რაც მოხდა კორტების ტერიტორიის შემთხვევაში - დაუბრუნდა ქალაქს, თუმცა სამი წლის განმავლობაში ჩავარდა ორი აუქციონი, რადგან შეზღუდული ფუნქციით მიწის ნაკვეთის ყიდვა ბიზნესისთვის არ არის მიმზიდველი და არარენტაბელურია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ.: 412757315) იჯარის ფორმით სარგებლობის

უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, ნინოშვილის ქ.N56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის“ (ს/კ.: 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ.N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.15.05.009.032) ტერიტორიიდან 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „შატრესთვის“ (ს/კ.: 402045354) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქუვეითისთვის“ (ს/კ.: 400311275) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც დასრულდება შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ასაშენებელი ობიექტები და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება 121 დაზარალებული პირი. მისი თქმით, ამ კორპუსს ააშენებს ქალაქი შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ე.წ. ფონდში მობილიზებული თანხით, სადაც კ2 კოეფიციენტი განისაზღვება 8.7, ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 52 ერთეულით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშენდება ზუსტად ის, რაც გათვალისწინებული იყო თავდაპირველ პროექტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, არჩილ ამაღლობელის ქ.N24-ში (ს/კ.: N01.14.08.007.064) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორის" (ს/კ.: 405168946) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია არჩილ ამაღლობელის ქ.N24-ში დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც კ2 კოეფიციენტი განისაზღვრება 3.9-ით და სიმაღლესთან დაკავშირებით გაიცემა ყველა ის არქიტექტურული პრეფერენცია, რომლებიც სხვა შემთხვევებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.:

N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ბაგები რეზიდენსი"-ს (ს/ნ.: 405446209) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31-ში (ს/კ. N01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ბაგები რეზიდენსი" 280000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, მის საკუთრებაში არსებულ ობიექტზე, მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 3.5-დან 4.4-მდე, ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 30 ერთეულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქ.თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ.: N01.14.02.025.251)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ბი.აი.ჯის" (ს/კ.: 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ბი.აი.ჯის" მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი. ეს იყო კომპანია „სვეტის" ვალდებულება, რომელიც მდებარეობს ნუცუბიძის ქუჩაზე, მესამე პლატოს ასახვევამდე არსებული 14 სართულიანი შენობა, რომელიც ვერ დაასრულა და საჭირო გახდა მუნიციპალიტეტის დახმარება, რადგან დახმარებაზე უარი თქვა ასევე კომპანიამ „m²", მხოლოდ მიწის ნაკვეთი გადასცა, რომელზეც კ2 კოეფიციენტი განისაზღვრება 6.7.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „დემაქსი ჯიქიაზე"-ს (ს/ნ.:

405284106) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N2ბ (ს/კ.: N01.14.05.008.154) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „დემაქსი ჯიქიაზე" 1000000 ლარამდე თანხით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, მშენებარე ობიექტზე, მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 5.0-დან 5.9-მდე, რაც ნიშნავს ორი სართულის დამატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10 (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და სს „ვენჯორჯიას" (ს/ნ.: 404885335) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის ქ.N35 (ს/კ.: N01.10.10.025.050) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „ვენჯორჯია" 2400000 ლარზე მეტით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 4.6-დან 8-მდე, ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 150 ერთეულით, კ1 კოეფიციენტი - 0.7-ით, კ3 კოეფიციენტი - 0.1.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032122442-03 თარიღი: 12.08.2021, N12-032123922-03 თარიღი: 27.08.2021, N12-032123924-03 თარიღი: 27.08.2021, N12 03212453-03 თარიღი· 02.09.2021, N12-032124611-03 თარიღი: 03.09.2021 და N12-032116915-03 თარიღი: 18.06.2021 (განსახილველად წარმოდგენილია წერილის „პ" პოზიცია), რომელთაგან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032122442-03 წერილით წარმოდგენილი „ე", N12-032123924-03 წერილით წარმოდგენილი „ა" და N12-03212453-03 წერილით წარმოდგენილი „ბ" პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია არსებული ნაკვეთების გაერთიანება და ერთი შენობა-ნაგებობის განთავსება, სადაც 75% იქნება საოფისე, ხოლო 25% კომერციული დანიშნულების ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორია განვითარდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, დაგეგმილია ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომლის მაქსიმალური სართულიანობა იქნება 12 სართული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქალაქი თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.115; N01.20.01.010.047; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.052; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.438; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.137; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.085; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.469; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.055) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორია განვითარდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, დაგეგმილია, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, 63 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 7300 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ტერიტორიის გამიჯვნა ათ მიწის ნაკვეთად, სადაც ცხრა ნაკვეთზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ხოლო ერთი ნაკვეთი მოემსახურება საგზაო ინფრასტრუქტურას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქალაქ თბილისში,სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.418) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 7300 კვ.მ. ტერიტორია დაყოფილია ცხრა მიწის ნაკვეთად, სადაც შვიდ ნაკვეთზე განთავსდება შვიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ხოლო ორი ნაკვეთი მოემსახურება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და გამწვანებულ ტერიტორიას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორია განვითარდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, დაგეგმილია, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 15 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი"-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 18000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სამი, მაქსიმუმ 12 სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი

კორპუსის და ორი ერთსართულიანი შენობის (დახურული სპორტული მოედნის და კომერციული ფუნქციის ნაგებობის) განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N26-ის მიმდებარედ, პეტრე იბერის ქუჩა N30; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, დ. თავდადებულის კორპ. N26-ის მიმდებარედ, ნაკვ. N112-2, ნაკვ. N112-1; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.229; N01.10.06.001.002; N01.10.06.001.125; N01.10.06.001.126; N01.10.06.001.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 16000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, ხუთი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 12 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა, N77გ, N77ვ, N77ი, N77დ, N75გ, N75ბ, N75ა, N81ე, N75, N71ა, N71დ, N77ე, N71ე, N71ბ, N79გ, N77ბ, N77თ, N77ზ, N73ა, N79ბ; ქალაქი თბილისი, საბურთალოს ქუჩა N43; ქალაქი თბილისი, საბურთალოს N43-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.14.028.109; N01.10.14.028.209; N01.10.14.028.183; N01.10.14.028.201; 01.10.14.028.184; N01.10.14.028.083; N01.10.14.028.052; N01.10.14.028.113; N01.10.14.028.106; N01.10.14.028.008; N01.10.14.028.114; N01.10.14.028.037; N01.10.14.028.196; N01.10.14.028.186; N01.10.14.028.214; N01.10.14.028.064; N01.10.14.028.202; N01.10.14.028.110; N01.10.14.028.199; N01.10.14.028.203; N01.10.14.028.208; N01.10.14.028.097; N01.10.14.028.211) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 6000 კვ.მ., რომელიც განვითარდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, დაგეგმილია, ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, კ2 კოეფიციენტი გადაჭარბებულია კოოპერატივებისთვის და განსაზღვრულია 4.2-ით. გათვალისწინებულია ერთი, ორბლოკიანი შენობის განთავსება, სადაც ერთი ბლოკის სართულიანობა განსაზღვრულია 16 სართულით, ხოლო მეორე ბლოკის - 8 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

40. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 7500 კვ.მ., სადაც დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 6-პარამეტრებით, ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა და ასევე, მინი სპორტული მოედნის მოწყობა, რომელიც მოემსახურება როგორც ამ, ასევე მიმდებარედ არსებულ კორპუსებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

41. „ქ.თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება მხოლოდ ერთ მიწის ნაკვეთს, სადაც განთავსდება სამსართულიანი, მრავალფუნქციური (კომერციული, საოფისე) შენობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

42. „ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.024), საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 19 მაისის N1193 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია მხოლოდ მიწის

ნაკვეთების გადანაწილება ზედდების აღმოფხვრის ნაწილში და ასევე, N1 სექტორში, პარკირების ნაცვლად, განთავსდება თაუნ ჰაუსის ტიპის საცხოვრებელი სახლები, სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

43. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებისთაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმდა ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც მიწის ნაკვეთს კოეფიციენტი მოემატა 7.4-მდე. შესაბამისად, გრგ-ს კორექტირება ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების სართულიანობის გაზრდას 11 სართულიდან 20 სართულამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

44. „ქალაქ თბილისში,დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებისთაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ტექნიკური ხარვეზის შესწორება, კერძოდ 36-ე მიწის ნაკვეთზე გრგ-ში მითითებულია 654 კვ.მ., ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერით, მიწის ნაკვეთის ფართია 600 კვ.მ. აქედან გამომდინარე, საჭიროა გრგ-ში მიწის ნაკვეთის ფართის ცვლილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

45. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N27, N23ა, N23, N29-ში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.957; N01.72.14.014.209; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 7400 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელთა სართულიანობა განსაზღვრულია 16 და 20 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

46. „ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში" (ნაკვ. N68, N68ა, N68ბ, N68გ, N77) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.333; N01.20.01.010.334; N01.20.01.010.069; N01.20.01.010.024; N01.20.01.010.119; N01.20.01.010.199; N01.20.01.010.201; N01.20.01.010.202; N01.20.01.010.222; N01.20.01.010.280) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 12418 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, ათი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, რომელთა მასქიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

47. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 17000 კვ.მ., რომელზეც, დაგეგმილია ტერიტორიის გამიჯვნა 18 საკადასტრო ერთეულად, სადაც 15 საკადასტრო ერთეულზე, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება თხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,

ხოლო დანარჩენი მიწის ნაკვეთები მოემსახურება გამწვანებულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

48. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N109-ის მიმდებარედ, ლისის ტბის დასახლებაში, ფერმწერთა ქუჩა, N143; N145; N147; N149- ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.009.399; N01.14.16.009.446; N01.14.16.009.442) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომლის სართულიანობა განსაზღვრულია 4 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

49. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქი თბილისი, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.919; N72.16.18.859) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 10000 კვ.მ., რომელზეც, დაგეგმილია ტერიტორიის გამიჯვნა 11 საკადასტრო ერთეულად, სადაც 8 საკადასტრო ერთეულზე, განთავსდება ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები, ხოლო დანარჩენი მიწის ნაკვეთები მოემსახურება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

50. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.28.039; N72.16.09.282; N72.16.28.155; N72.16.28.156; N72.16.09.582; N72.16.09.583; N72.16.09.522; N72.16.28.040;

N72.16.09.288; N72.16.28.252; N72.16.28.012; N72.16.09.608; N72.16.28.223; N72.16.28.256; N72.16.28.154) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 47000 კვ.მ., რომელზეც, დაგეგმილია, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, დაბალი ინტენსივობის ოცდათხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, სადაც შენობების მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 3 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

51. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წლის 6 თვის (01.01.2021წ. - 01.07.2021წ.) გაწეული მუშაობის ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წლის 6 თვის (01.01.2021წ. – 01.07.2021წ.) გაწეული მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

52. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ კახი კავსაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

53. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოტე მესხის შესახვევისთვის კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებას არაერთი ათწლეულია ელოდებიან თბილისელები და მადლობა გადაუხადა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას და ყველა იმ ადამიანს, ვინ ჩართული იყო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით საკრებულო პატივს მიაგებს თბილისისთვის დამახასიათებელ უნიკალურ ფენომენს - თბილისურ მულტიკულტურალიზმს, რომელიც ჩვენი ქალაქის სიმდიდრეა და სერგო ფარაჯანოვი წარმოადგენს სწორედ ამ ფენომენის სიმბოლოს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

54. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, შოთა ნიშნიანიძის გასასვლელისთვის მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

55. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ექიმის, პროფესორ იოსებ აბაკელიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 50 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის
2021 წლის (01.01.2021-01.07.2021) მუშაობის ანგარიში

ქ.თბილისი 7 სექტემბერი 2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან - 2021 წლის 1 ივლისის ჩათვლით პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2021 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 29 იანვარს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 16 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 185 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას, გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა, ხელმძღვანელობენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის

შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განხილვისთვის.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ). სარევიზიო კომისიის სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ("COVID – 19") პანდემიიდან გამომდინარე, სარევიზიო კომისია მაქსიმალურად ცდილობს 2021 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა სრულყოფილად აითვისოს და შეასრულოს, რაც აისახება გეგმის მიხედვით შემოწმებული ორგანიზაციების რაოდენობებში და შესრულებული სამუშაოების ხარისხში და შედეგებში.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა 10 სარევიზიო შემოწმება მათ შორის 9 (ცხრა) ორგანიზაცია გეგმით გათვალისწინებული, ხოლო ერთი ორგანიზაცია შემოწმდა გეგმის გარეშე, წერილის საფუძველზე. დაგეგმილი სარევიზიო შემოწმებებიდან საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 5 (ხუთი) ორგანიზაცია, სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2021 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 5 (ხუთი) ორგანიზაცია, კერძოდ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურ" - ის მიერ, 2018 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

2. ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა - აფხაზეთი №1“-ს მიერ, 2018 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

3. ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ი.სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია“- ს მიერ, 2018 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

4. ააიპ „ქალაქ თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლა“-ს მიერ, 2018 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

5. ააიპ „ქალაქ თბილისის მერიის ალექსანდრე მაჭავარიანის სახელობის N26 ხელოვნების სკოლა“-ს მიერ, 2018 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

განხილვის ეტაპზეა 3 (სამი) ორგანიზაცია.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“ - ს მიერ, 2018 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

2. შპს „ეკოსერვის ჯგუფი“- ს მიერ დაარსების დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2017 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

შემოწმება მიმდინარეობს 2 ორგანიზაციაში;

1. ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

2. სამგორის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ორგანიზაციებში ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“

შემოწმებით დადგინდა:

1. არის შემთხვევები როდესაც სისხლის ჩამოწერის და განადგურების აქტებში შეყვანილია ის თანამშრომლები რომლებიც, აქტის შედგენის დროს იმყოფწებოდნენ შვებულებაში ან საავადმყოფო ფურცელზე, შესაბამისად აქტზე არ არის მათი ხელის მოწერა.

2. შესამოწმებელ პერიოდში, ორგანიზაციაში ნანახი იქნა განცხადებები, რომლებიც შეეხება სადგურის თანამშრომელთა შვებულებას, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნას და სხვა საკითხებს.

აღნიშნულ განცხადებებზე, გენერალური დირექტორის მიერ გამოცემულია სათანადო ბრძანებები, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის აღრიცხული და გატარებული რეგისტრაციის ჟურნალებში. სადგურის გენერალური დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები, რომლებიც შეეხება გამსვლელი ჯგუფების შექმნის საკითხებს, რაც ასევე ყოველგვარი აღრიცხვის გარეშეა დატოვებული. აღნიშნული, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისს დამტკიცებული N414 „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ ბრძანებულების 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენს, რომლის თანახმადაც: „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ დოკუმენტების რეგისტრაცია წარმოებს ჯგუფების ფარგლებში და სხვა“.

3. სამსახურის შინაგანაწესი ხელმოწერით დადასტურებულია გენერალური დირექტორის მიერ, მაგრამ არის უთარიღო და არ არის დამტკიცებული სათანადო წესით, რაც არის დირექტორატის დებულების 2.10. პუნქტის მოთხოვნის დარღვევა.

შინაგანაწესში არის სხვა უზუსტობები, რის გამოც აუცილებელია ის მოყვანილ იქნეს საქართველოს შრომის კოდექსისა და სხვა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ასევე შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოსაყვანია სადგურის მუშაკებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რადგან ხელშეკრულებაში სრულად არ არის ჩაწერილი საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის ვალდებულებაც ეკისრება დამსაქმებელს.

სადგურის დირექტორატის მიერ სრულად იქნა გაზიარებული შენიშვნები და გატარებული იქნა ყველა სახის ღონისძიებები, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

4. სამსახურის მიერ გაანხორციელებულ შესყიდვებისას ოთხ შემთხვევაში (SPA200000463, SPA200000468, SPA200000629 და SPA200000832) დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

2021 წლის 14 მაისის N55 წერილით „სისხლის გადასხმის სადგური"-ს დირექციამ გვაცნობა, რომ გაეცნენ შემოწმება-ანალიზს დასკვნას და მასში მოყვანილი შენიშვნები, მათ მიერ იქნება გაზიარებული და გამოსწორებული.

„სისხლის გადასხმის სადგური"-ს მიეცა რეკომენდაციები შემდგომი გამართული მუშაობის მიზნით.

ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა - აფხაზეთი №1

შემოწმებით დადგინდა:

1. წესდების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ხელოვნების სკოლის პედაგოგად მუშაობის უფლება აქვს შესაბამისი სახელოვნებო განათლების მქონე პირს. იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად. არის შემთხვევები როდესაც ეს მოთხოვნა არ არის დაცული რაც გამოწვეულია, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ შინაგანაწესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ჩანაწერით: „ხელოვნების სკოლის მასწავლებლად მუშაობის უფლება აქვს შესაბამისი სახელოვნებო განათლების ან უნარის მქონე პირს, რომელსაც შეუძლია სკოლის სასწავლო გეგმების შესაბამისად მუშაობა." ეს კი წინააღმდეგობაში მოდის, მოქმედი წესდების მე-5 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან.

2. სკოლის დირექციასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, უნდა ჩაიდოს პუნქტი, თუ რა შემთხვევაში და როგორ ხდება მოსწავლისთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება, კერძოდ: გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, სკოლიდან დროებით დათხოვა და სხვა. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინარული დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. ხელოვნების სკოლის მოქმედი შინაგანაწესის 21-ე მუხლი, რომელიც შინაარსობრივად ბუნდოვანია, კი ითვალისწინებს შემდეგს, კერძოდ: „მოსწავლე ვალდებულია: ა) არ გააცდინოს გაკვეთილი უმიზეზოდ. 2 ან მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენა მოსწავლეს ჩაეთვლება როგორც დისციპლინის დარღვევა. შემდგომი გაცდენების შემთხვევაში მოსწავლე გაირიცხება სკოლიდან."

3. სკოლის შინაგანაწესის მუხლი 22. პუქტი 2. გ) თანახმად: მშობელი მოვალეა საჭიროების შემთხვევაში (მოსწავლის ავადმყოფობა, სასწავლო განყოფილების ან მასწავლებლის შეცვლა და სხვა) საქმის კურსში ჩააყენოს სკოლის დირექცია და სპეციალობის მასწავლებელი." თუმცა, თუ როგორი სახით უნდა მიაწოდოს ეს ინფორმაცია: ტელეფონი, სმს, პირადი განცხადება თუ ცნობა და შესაბამისად როგორ უნდა აისახოს ეს საქმისწარმოებაში არ არის გაწერილი.

4. სკოლაში მოსწავლის მიღების დროს, სკოლის დირექციასა და მოსწავლის მშობელს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლის 2.1. ქვეპუნქტის (ხელოვნების სკოლა ვალდებულია) „ზ" ქვეპუნქტში ნათქვამია შემდეგი: „უზრუნველყოს მოსწავლეთათვის სხვადასხვა კონცერტებზე, კონკურსებში, ფესტივალებსა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა." სასურველია ტერმინი „უზრუნველყოს", რომ იქნას შინაარსობრივად განმარტებული და გამართული.

5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებაში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N331 ბრძანების მუხლი 4. პუნქტი 2. ზ). თანახმად: „საინვენტარიზაციო კომისია პასუხისმგებელია: საინვენტარიზაციო აღწერებში აქტივების განმასხვავებელი ნიშნების (ტიპი, ხარისხი, ზომა, საინვენტარო ნომერი და ა.შ.) სწორად შეტანაზე." საინვენტარიზაციო აღწერებში სრულად უნდა იყო მითითებული შესაბამისი საინვენტარო ნომრები.

6. სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური მენეჯერი - აღნიშნული თანამდებობა შეთავსებული აქვს დირექტორის მოადგილეს, თუმცა მას სახანძრო უსაფრთხოების სფეროში რაიმე სახის ტრენინგი არ ჩატარებია, ამავდროულად არ არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისი ინსტრუქცია და ვალდებულებები.

7. საქმისწარმოება - სკოლაში საქმისწარმოება უნდა მიმდინარეობდეს, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა ამოქმედების შესახებ" მოთხოვნათა დაცვით, რომლის თანახმად ქალაქის მერიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს საქმისწარმოების ერთიანი წესის დანერგვას როგორც ცენტრალური აპარატში, ისე დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა - აფხაზეთს" მიეცა რეკომენდაციები.

ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ი.სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია“

შემოწმებით დადგინდა:

1. სტუდიაში სწავლობენ სოციალურად დაუცველი მოსწავლეები, რომელთა ლიმიტი თვეში შეზღუდულია და შეადგენს არაუმეტეს 171 ბავშვს. სკოლაში სწავლა ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან, ერთ ბავშვზე 40 ლარის ოდენობით.

შემოწმებისას დადგინდა, რომ 2018, 2019, 2020 წლებში ადგილი აქვს სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მიერ გაკვეთილების გაცდენას (თვეში ოთხი და მეტი გაკვეთილი), თუმცა გაცდენების საპატიო მიზეზის ამსახველი არანაირი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი.

ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის **N28** ხელოვნების სკოლა

შემოწმებით გაირკვა:

1. ხელოვნების სკოლი“-ს შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, იგი დირექტორის მიერ ხელმოწერით დადასტურებულია, მაგრამ არის დაუთარიღებელი და არ არის დამტკიცებული სათანადო წესით (დირექტორის ბრძანება ვერ წარმოგვიდგინეს).

2. წესდების მე-3 მუხლის, მე-9 პუნქტის თანახმად შინაგანა წესით განსაზღვრული უნდა იყოს სკოლაში ჩარიცხვისთვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები, რაც N28-ე ხელოვნების სკოლი“-ს შინაგანაწესში არაა ასახული.

3. შემოწმების პროცესში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებები რომლებიც დადებულია მოსწავლეების მშობლებთან არასრულყოფილია, კერძოდ: არაა მითითებული ხელშეკრულების დადების თარიღი, ხელშეკრულებაზე არ ფიქსირდება დირექტორის ხელმოწერა, რითიც დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N414 ბრძანების, 28 მუხლი. ხარვეზი შემოწმების პერიოდშივე იქნა გამოსწორებული.

4. თანამშრომლების პირადი საქმეების დათვალიერებისას, იყო შემთხვევები როდესაც არ იყო წარმოდგენილი მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, რაც დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის დარღვევაა. ხარვეზი შემოწმების პერიოდშივე იქნა გამოსწორებული.

5. ხელოვნების სკოლი"-ს ინვენტარი, მიუხედავად ჩატარებული ინვევნტარიზაციისა არაა დანომრილი, რითიც დაირღვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

N28-ე ხელოვნების სკოლის დირექციას მიეცათ რეკომენდაციები.

ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლებში შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა მსგავსი დარღვევა -ნაკლოვანებები.

აღნიშნული ხელოვნების სკოლები კერძოდ: ააიპ „ქალაქ თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლაში", ააიპ „ქალაქ თბილისის მერიის ალექსანდრე მაჭავარიანის სახელობის N26 ხელოვნების სკოლაში", ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ი.სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიაში" და ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა -აფხაზეთი №1"- ში, შემოწმების შედეგად ძირითადად გამოვლინდა ერთიდაიგივე ნაკლოვანებები. კერძოდ, სკოლებში შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან რაც, იწვევს სკოლების განსხვავებულ მართვას. დასახელებული სკოლები ექვემდებარებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს. შემოწმების შედეგად გამოვლენილ სისტემური ხასიათის შენიშვნებთან მიმართებაში, სარევიზიო კომისიამ სამდივნოს თანამშრომელებთან (შემმოწმებელი ჯგუფები) ერთად შეიმუშავა ზოგადი რეკომენდაციები ყველა სკოლისთვის, რომელიც ასევე განხილულ იქნა სარევიზიო კომისიის სხდომაზე (15.06.2021წ) და შემდგომ შემუშავებულ რეკომენდაციები გადაგზავნილ იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, ერთიანი სახელმძღვანელო წესის შესამუშავებლად.

ქ.თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ხელოვნების სკოლებისთვის საჭიროა მომზადდეს ერთიანი წესდება და შინაგანაწესი არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, კერძოდ:

1. სკოლაში საქმისწარმოება უნდა მიმდინარეობდეს, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა ამოქმედების შესახებ" მოთხოვნათა დაცვით.

2. ხელოვნების სკოლის მასწავლებლად მუშაობის უფლება აქვს შესაბამისი სახელოვნებო განათლების მქონე პირს, რომელიც უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით, მასწავლებლისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები, წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდებასთან.

3. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინარული დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

4. სკოლის დირექციასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, უნდა ჩაიდოს პუნქტი, თუ რა შემთხვევაში და როგორ ხდება მოსწავლისთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება, კერძოდ: გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, სკოლიდან დროებით დათხოვა და გარიცხვა.

5. სკოლის მოქმედი შინაგანაწესის თანახმად: მშობელი მოვალეა საჭიროების შემთხვევაში (მოსწავლის ავადმყოფობა, სასწავლო განყოფილების ან მასწავლებლის შეცვლა და სხვა) საქმის კურსში ჩააყენოს სკოლის დირექცია და სპეციალობის მასწავლებელი. თუმცა, თუ როგორი სახით უნდა მიაწოდოს ეს ინფორმაცია: ტელეფონი, სმს, პირადი განცხადება თუ ცნობა და შესაბამისად როგორ უნდა აისახოს ეს საქმისწარმოებაში უნდა იყოს გაწერილი.

6. სკოლაში მოსწავლის მიღების დროს, სკოლის დირექციასა და მოსწავლის მშობელს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც სკოლის ვალდებულებაში გათვალისწინებულია შემდეგი: „უზრუნველყოს მოსწავლეთათვის სხვადასხვა კონცერტებზე, კონკურსებში, ფესტივალებსა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა." სასურველია ტერმინი „უზრუნველყოს", რომ იქნას შინაარსობრივად განმარტებული და გამართული.

7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებაში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N331 ბრძანების მუხლი 4. პუნქტი 2. ბ). თანახმად: „საინვენტარიზაციო კომისია პასუხისმგებელია: საინვენტარიზაციო აღწერებში აქტივების განმასხვავებელი ნიშნების (ტიპი, ხარისხი, ზომა, საინვენტარო ნომერი და ა.შ.) სწორად შეტანაზე." საინვენტარიზაციო აღწერებში სრულად უნდა იყო მითითებული შესაბამისი საინვენტარო ნომრები.

8. სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური მენეჯერი - აღნიშნული თანამდებობა შეთავსებული აქვს ისეთ პირებს (შრომითი ანაზღაურების გარეშე), რომლებსაც სახანძრო

უსაფრთხოების სფეროში რაიმე სახის ტრენინგი არ ჩატარებია. არ არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისი ინსტრუქცია და ვალდებულებები.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში  კომისიის 9 სხდომა იქნა ჩატარებული, სადაც განხილულია 18 საკითხი.

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, ასევე კომისიის გადაწყვეტილებით, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების და დასკვნების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება  მათ საქმიანობაზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე